

“Wonder” და „სასწაული“: ეტიმოლოგია და ლინგვოკულტურული პარალელები ინგლისურ და ქართულ ენებში

"Wonder" and „სასწაული“: Etymology and Linguocultural Parallels in English and Georgian

ანანო ენდელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Anano Endeladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The lexical unit "wonder" is of interest from a linguistic, historical, cultural, and etymological perspectives. The article explores the etymology of the word, its origin, semantic evolution, and conceptual framework. The word "wonder" originates from the Old English form "wundor", which, through linguistic transformations, gained its current morphological structure, meaning, and cultural significance. In the Georgian language, its correlate word "სასწაული" serves as an equivalent of "wonder", reflecting similar semantics. The research explores the multifaceted nature of "wonder" as an expression of human admiration, amazement, and emotional response.

Keywords: *wonder, etymology, connotation, derivative, conversion, Georgian correlates.*

საკვანძო სიტყვები: *სასწაული, ეტიმოლოგია, კონოტაცია, ნაწარმოები სიტყვები, კონვერსია, ქართული კორელატები.*

1. შესავალი

ენა გაცილებით მეტია, ვიდრე კომუნიკაციის საშუალება. იგი არის ადამიანის აზროვნების, კულტურისა და ღრმა წარსულის ანარეკლი. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ თითოეული სიტყვა დროსთან მიმართებით განიცდის ადაპტაციას და, რასაკვირველია, იცვლის და ამდიდრებს პირველად მნიშვნელობასაც. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა *wonder* (სასწაული), რომელიც ატარებს ღრმა ემოციურ დატვირთვას

და გამოხატავს ისეთ გრძნობებს, როგორიცაა გაოცება, შიში, ცნობისმოყვარეობა და ა.შ.

სიტყვა *Wonder*-ის ფესვები ძველი ინგლისური და პროტოგერმანიკული ენებიდან მოდის. დროთა განმავლობაში, სიტყვის მნიშვნელობამ გაცილებით დიდი გამომსახველობითი შინაარსი მიიღო, შესაბამისად, ანგლო-საქსური ლიტერატურიდან დაწყებული, თანამედროვე იდიომების გამოყენებით დამთავრებული, *wonder* ადამიანური ემოციის გამოხატვის ძლიერ საშუალებად რჩება. წინამდებარე სტატიის მიზნებია: ა) გამოიკვლიოს მოცემული სიტყვის ეტიმოლოგია, გამოყენება და კულტურული მნიშვნელობა; ბ) შეადაროს სიტყვა *wonder* ქართულ კორელატებთან.

2. კვლევის მეთოდოლოგია

ვინაიდან ჩატარებული კვლევა მოიცავს სიტყვის *wonder* წარმოშობისა და მისი სემანტიკური პოტენციალის კვლევას ინგლისურ და ქართულ ენებში, ემპირიული მასალის შეგროვებისას დავეფუძნე როგორც ეტიმოლოგიურ, An Etymological Dictionary of Modern English, ისე დიდ განმარტებით ან/და ორენოვან ლექსიკონებს, Merriam Webster Dictionary, Oxford Learner's Dictionary, Oxford English Dictionary, Cambridge Dictionary, აგრეთვე გოთური და ანგლოსაქსური წერილობითი ძეგლების ქრესტომათიას - „გოთური და ანგლოსაქსური წერილობითი ძეგლების ონლაინ-ქრესტომათია ლექსიკონებითა და გრამატიკული ცნობარებით“. ხოლო, კონტექსტუალური ინფორმაციის მოძიებისას გამოვიყენე ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

3. ლექსიკური ერთეულის „wonder“ ეტიმოლოგია

სიტყვა *wonder* მომდინარეობს ძველი ინგლისური ძირიდან *wundor*, რომელიც აღნიშნავდა სასწაულს, საოცრებას, საკვირველებას ან რაიმე განსაცვიფრებელს. სიტყვის ფესვები პროტოგერმანიკულ ენაშიც არსებობს *wundran* და გვხვდება სხვადასხვა გერმანიკულ ენაში: ძვ. ფრიზ. *Wonder*; ძვ. საქს. *Wundar*; ძვ. ზემ.-გერმ. *Wuntar* (თანამედრ. გერმ. *wunder*); ძვ. ისლ. *Undr* (თანამედრ. ისლ. *Undur*); შვედ. *Under* (გოთური და ანგლოსაქსური წერილობითი ძეგლების ონლაინ-ქრესტომათია, 2019).

ამ ტერმინის ადრეული გამოყენება ძირითადად დაკავშირებული იყო აუხსნელ მოვლენებთან, რომლებიც ადამიანში აღძრავდა აღფრთოვანებისა და გაოცების ემოციას.

Wonder, როგორც ზმნა, განვითარდა ძველი ინგლისური ტერმინიდან *wundrian*, რომელიც ნიშნავდა „გაოცებას“ ან „აღფრთოვანებას“. დღესდღეობით მოცემული ზმნა ასევე გამოხატავს ცნობისმოყვარეობასა და თქერს, მაგალითად:

- *"I always wondered why you never got married."* (Oxford University Press, n.d.), (ქართ. ყოველთვის ვფიქრობდი (მაინტერესებდა) რატომ არასოდეს დაოჯახდი.)
- *"Why do you want to know?" "No particular reason. I was just wondering."* (Oxford University Press, n.d.), (ქართ. რატომ გინდა გაიგო? - არაფერი პირადული. უბრალოდ მაინტერესებდა.)

ასევე, *Wonder* შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ზედსართავი, მაგრამ ეს ხდება მაშინ, როცა საქმე გვაქვს შედგენილ სიტყვებთან. უმეტესად, რაიმე გამორჩეულის ან განსაკუთრებულის აღსაწერად. მაგალითად:

- *"The order that takes his name, the Franciscans, is known for its production of wonder-workers capable of similar feats."* - (Emily Harnett, Harpers Magazine, 28 Mar. 2025), (Merriem-Webster, n.d.), (ქართ. წესს, რომელიც მის სახელს ატარებს — ფრანცისკელთა ორდენს — კარგად იცნობენ როგორც მრავალი სასწაულოქმედის აღმზრდელს, რომლებიც მსგავს საოცარ საქმეს ჩადიოდნენ.)
- *"never wished up I'll never know," a prisoner wrote, "but I guess some of them must have wondered why the American wonder drug would not work on his ailment"* (Hager, 2006, p. 256), (ქართ. სასწაულოქმედი წამალია.)

საგულისხმოა, ტერმინი *wonder drug*-ის განმარტება, ვინაიდან იგი პირველად გამოყენებულ იქნა 1939 წელს, სინთეზური ანტიბიოტიკის, სულფანილამიდის, აღსანიშნად. ტერმინი *wonder drug* გამოიყენებოდა ადამიანის გაოცებისა და იმედის გამოსახატად, რომელიც უკვე დიდი ხანია სამედიცინო საზოგადოებაში დამკვიდრდა (Hager, 2006).

აღსანიშნავია, რომ საკვლევი სიტყვა გვხვდება ძველ ანგლო-საქსურ (ძველ ინგლისურ) პოეზიაში, კერძოდ, კედმონის ჰიმნში (მარგალიტაძე, მელაძე, 2019), სადაც სიტყვა „სასწაული“ გვხვდება ფრაზაში *"wundra gehwaes"* (სასწაულები მოახდინა):

*"Nu sculon herizean
heofon-rices weard,
meotodes meahte
ond his mod-zeþanc,
weorc wuldor-fæder,*

*swa he **wundra** zehwæs,
ece drihten,
or onstealde."*

კედმონის ჰიმნში სიტყვა *wonder* გვხვდება არსებითი სახელის სახით, მიცემით ბრუნვაში, მრავლობით რიცხვში, როგორც *wundra*, რომელიც გამოხატავს ღმერთის მიერ შექმნილ სასწაულებრივ სამყაროს.

დღევანდელ ინგლისურში *wonder*, როგორც არსებითი სახელი, აღნიშნავს გაოცებისა და აღფრთოვანების შეგრძნებას, გაკვირვების განცდას, რომელიც გვიჩნდება, როდესაც ვხვდებით რაიმე გამორჩეულსა და მოულოდნელს, მაგ.: *"The pyramid is a wonder to behold."* (Merriem-Webster, n.d.) (*ქართ. პირამიდა საოცარებაა, რომელიც უნდა ნახო.*) აქ, *wonder* გამოიყენება ისეთი გამორჩეული მოვლენის აღსაწერად, რომელიც აღფრთოვანებას იწვევს ადამიანებში, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, *wonder* შეიძლება იყოს ზმნაც. როდესაც ვამბობთ, რომ რაღაცაზე ვფიქრობთ, *wonder* აღნიშნავს ცნობისმოყვარეობას, გაურკვევლობას ან მეტის შემეცნების სურვილს, მაგალითად:

- *"I sometimes wonder where all this is going to end"* (Oxford University Press, n.d.), (*ქართ. ხანდახან ვფიქრობ, ნეტავ ეს ყველაფერი როდის დასრულდება.*)

კონკრეტულად, ამ შემთხვევაში, *wonder* ასახავს ფიქრს, შეკითხვას ან ცნობისმოყვარეობას.

ძირი *wonder* გვხვდება სხვადასხვა ნაწარმოებ სიტყვაში, შესაბამისად, უნდა განვიხილოთ მისგან წარმოქმნილი ღერვებები, მაგალითად:

- **"Wonderment"** - არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს გაოცებისა, გაკვირვებისა და აღფრთოვანების მდგომარეობას. მაგ. *"She looked at her daughter in wonderment,"* (Oxford University Press, n.d.), (*ქართ. მან თავის ქალიშვილს გაკვირვებით შეხედა.*)
- **"Wondrous"** - ზედსართავი სახელი, რომელიც ნიშნავს განსაცვიფრებელს ან არაჩვეულებრივს. მაგ. *"a wondrous feat."* (Merriem-Webster, n.d.), (*ქართ. საოცარი მიღწევა.*)
- **"Bewonder"** - ზმნა, რომელიც აღნიშნავს გაოცებას, აღფრთოვანებას ან განცვიფრებას.
- **"Unwonder"** - ზმნა, რომელიც აღნიშნავს საიდუმლოს გამხელას ან რაიმეს გაშუქებას.
- **"Wonderer"** - არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს ცნობისმოყვარე ადამიანს.

- **"Forwonder"** — ზმნა, რომელიც ნიშნავს განცვიფრებას.

Wonder-ის მაგივრად, ინგლისურ ენაში, სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგი სინონიმური ტყვეები: *Amazement, Awe, Marvel, Admiration, Astonishment, Curiosity* (ზმნის შემთხვევაში), *Surprise* და ა.შ. საინტერესოა, რომ თითოეული ეს სიტყვა მნიშვნელობით განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა იგივე კონტექსტში გამოიყენება.

საკვლევი სიტყვის სემანტიკური გავრცობა შევისწავლე ინგლისურ იდიომებში, მაგალითად:

- **"In wonder"** (Merriam-Webster, n.d.) (გაოცების მდგომარეობაში ყოფნა.). მაგ., *"She stared in wonder at the magnificent view."* (Merriam-Webster, n.d.), (*ქართ. ის გაოცებით უყურებდა შესანიშნავ ხედს.*)
- **"A sight/wonder to behold"** (Merriam-Webster, n.d.), (რაიმე იმდენად გამორჩეული, რომ ღირს მისი დანახვა.). მაგ., *"The pyramid is a wonder to behold"* (Merriam-Webster, n.d.), (*ქართ. პირამიდა საოცრებაა, რომელიც უნდა ნახო.*)
- **"Make a wonder of something"** (Merriam-Webster, n.d.), (რაიმეს განსაკუთრებულად და გამორჩეულად გადაქცევა.)
- **"Small wonder"/"no wonder"** (Merriam-Webster, n.d.), მაგ., *"No wonder you're still single—you never go out!"* (Oxford University Press, n.d.), (*ქართ. არ მიკვირს ისევ მარტო რომ ხარ, გარეთ არასოდეს გადიხარ!*)

3. ლექსიკური ერთეულის „wonder“ და მისი ქართული კორელატების შეპირისპირებითი ანალიზის შედეგები

ინგლისური სიტყვის *wonder* ქართული ეკვივალენტი „სასწაული“ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არ ფიქსირდება, მაგრამ სულხან-საბა ორბელიანი ახალ აღთქმას (იოანე, 2:11) უთითებს მთავარ წყაროდ (ორბელიანი, 1991). ახალი აღთქმა გიორგი მთაწმინდელმა ბერძნულიდან თარგმნა. სავარაუდოდ, სიტყვა „სასწაული“ პირველად სწორედ ამ „ახალ აღთქმაში“ გვხვდება.

ასევე, სიტყვა „სასწაული“ გვხვდება ისეთ ისტორიულ ტექსტებში, როგორიცაა, მაგალითად, ძველქართული ბიბლიური ტექსტების თარგმანებში, სადაც ის გამოიყენება ღვთის ზებუნებრივი ძალების აღსაწერად.

აღსანიშნავია, „სასწაულის“ თანამედროვე გამოყენება როგორც ლიტერატურაში, ისე სასაუბრო ენაში. სიტყვა „სასწაული“ არის პოლისემიური, რაც ნიშნავს იმას, რომ მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, რომლებიც კონტექსტის მიხედვით იცვლება. იგი შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც პირდაპირი, ასევე

გადატანითი

მნიშვნელობით.

ქართველი ავტორების მიერ „სასწაულის“ გამოყენების მაგალითები ამოღებულია GNC - ქართული ენის ეროვნული კორპუსის (გიპერტი, თანდაშვილი, 2011) მონაცემებიდან. წარმოვადგენთ რამდენიმე მათგანს:

- „ორივენი ერთნაირად ბედნიერები იყვნენ, იმდენად ბედნიერნი, შეეძლოთ სასწაული მოემოქმედათ, მკვდარი გაეცოცხლებინათ.“
(ოთარ ჭილაძე, მარტის მამალი)
- „2-3 წლის განმავლობაში რევოლუციამ სასწაული მოახდინა: ამან აღამაღლა ხალხის საერთო დონე.“ (ლევან ბრეგაძე, ვინ იყო ედუარდ იუონი?)
- „ვითარცა იხილეს სასწაული იგი, დაუკვრდა ყოველთა, და უფროსად და უმეტესად ადიდებდეს ღმერთ.“ (ლევონტი მროველი, ქართლის ცხოვრება)
- „ეხვეწებოდნენ უფალს, რომ როგორც მრავალჯერ, ეხლაც გემოეჩინა თავისი სასწაული, და ქართველი ხალხისთვის თვალები აეხილებინა...“
(ალექსანდრე ყაზბეგი, ელგუჯა)

სიტყვა „სასწაული“ ხშირად გამოხატავს რწმენას ღვთის ზებუნებრივი ძალის მიმართ, რაც მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიურ კონტექსტებში. თანამედროვე ქართულში იგი ხშირად იუმორისტულად ან გაბუქებული ემოციის გამოსახატადაც გამოიყენება. გარდა ამისა, ყოველდღიურ საუბარში მოცემული სიტყვა შექებასაც გამოხატავს: „სასწაული გოგო ხარ!“.

ქართულ ენაში გვაქვს ისეთი სიტყვები, რომლებიც „სასწაულიდან“ მომდინარეობს:

სასწაულებრივი – რაღაც, რაც დაკავშირებულია სასწაულთან ან საოცრებასთან.

მაგალითი: „სასწაულებრივი განკურნება.“

სასწაულმოქმედი – ის, რაც სასწაულებს ახდენს.

მაგალითი: „სასწაულმოქმედი ხატი.“ და ა.შ.

ღღესასწაული - დასვენების დღე, რომელიც ეძღვნება რაიმე განსაკუთრებულ რელიგიურ ან ისტორიულ მოვლენას.

ქართულ ენაში „სასწაულის“ სინონიმებია - საოცრება, საკვირველება.

ინგლისურ სიტყვა *wonder*-ს აქვს მრავალი მნიშვნელობა და მისი ქართული ეკვივალენტები კონტექსტის მიხედვით განსხვავდება, ამიტომ აუცილებელია მათი ერთმანეთთან შეპირისპირება.

- **Wonder** როგორც არსებითი სახელი (საოცრება ან გამორჩეული მოვლენა) ინგლისურიდან ქართულად გადმოთარგმნისას ვიღებთ შემდეგ მნიშვნელობებს- „საოცრება“ ან „სასწაული“

მაგალითი: *"The pyramid is wonder to behold."* (Merriam-Webster, n.d.),
ითარგმნება როგორც:

„პირამიდა საოცარებაა, რომელიც უნდა ნახო.“

- **"To wonder"** როგორც ზმნა (ცნობისმოყვარეობა ან დაფიქრება) ქართულად "დაფიქრება"/"დაინტერესება" გამოიყენება იმის გამოსახატად, რაც გულისხმობს ფიქრის ან განსჯის პროცესს. მაგალითი: *"I wonder what will happen next"* (Oxford English Dictionary, 1995),
ითარგმნება როგორც:

„მაინტერესებს/ნეტავ რა მოხდება შემდეგ.“

- გაოცების ან ემოციური აღფრთოვანების გამოხატვა: *Wonder* -ის ის სემანტიკური ასპექტი, რომელიც გაოცებას აღნიშნავს, ქართულად შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით: **გაკვირვება, აღფრთოვანება, აღტაცება.**

მაგალითი: *"We watched the fireworks show with wonder and amazement."* (Merriam-Webster, n.d.),
ითარგმნება როგორც:

„ჩვენ აღტაცებითა და გაოცებით ვუყურეთ ფოიერვერკების შოუს.“

საგულისხმოა სიტყვა „სასწაულის“ განხილვა თანამედროვე ქართულ სოციალურ და მედია სივრცეში. თანამედროვე სოციალურ პლატფორმებზე, როგორიცაა მაგალითად, **Instagram, Tik-Tok, Facebook**, სიტყვა „სასწაული“ ხშირად გამოიყენება პოზიტიური შეფასების ან გაკვირვების გამოხატვისთვის. მაგალითად, მომხმარებლები ხშირად წერენ:

- „რა სასწაულია, რომ ეს მოხდა!“
- „სასწაული, როგორ მოხდა ეს?“
- „სასწაულია, რომ ასე მოხდა!“

ამავდროულად, ეს ტენდენცია გასაკუთრებით თვალსაჩინოა სოციალურ მედიაში, სადაც „სასწაული“ აქტიურად გამოიყენება მეტაფორული თვალსაზრისით და ვხვდებით ე.წ. ჰეშთეგის გამოყენებით: **#სასწაული, #რა-სასწაულია, #სასწაულია.**

მაგალითად, სოციალურ მედიაში გავრცელებული პოსტები, როგორიცაა:

- „#რა-სასწაულია, რომ ამდენი ადამიანი მოვიდა!“
- „#სასწაული, როგორ შეიცვალა ყველაფერი.“
- „#სასწაულია, რომ ჯერ კიდევ აქ ვართ!“

შესაბამისად, სიტყვა „სასწაულის“ ამ ჭრილში განხილვა ასახავს თანამედროვე ქართულ ენაში მეტაფორულ და ემოციურ კონტექსტში გამოყენების ზრდას.

4. დასკვნა

სიტყვა *wonder* და მისი ქართული ეკვივალენტები „სასწაული“, „საოცრება“, კულტურული და ემოციური თვალსაზრისით საინტერესო ლინგვისტური ერთეულებია, რომლებიც გამოხატავენ გაოცებისა და აღფრთოვანების ღრმა გრძნობებს. მოცემული სიტყვა, თავისი ისტორიისა და ეტიმოლოგიის გათვალისწინებით, კარგად გამოხატავს იმ ემოციას, რომელიც გამოიკვეთება ინდივიდებში ამა თუ იმ ზებუნებრივი მოვლენის, საოცრებისა თუ დაუჯერებელი სურათის დანახვისას. ეტიმოლოგიური კვლევა ცხადყოფს, რომ სიტყვა *wonder*-ის ფესვები პროტოგერმანიკული და ძველი ინგლისური ენებიდან მოდის, რაც მის სემანტიკურ ევოლუციას ფართო ისტორიულ კონტექსტში აცნობიერებს. გარდა ამისა, *wonder*-ის თანამედროვე გამოყენება ხაზს უსვამს მის მრავალმხრივ სემანტიკურ დატვირთვას. საკვლევი სიტყვის ქართული კორელატები განსხვავდება კონტექსტის მიხედვით. ძირითადი კორელატია „სასწაული“, მაგრამ სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენება ასევე სინონიმები: *საოცრება*, *საკვირვებლება*.

ამრიგად, *wonder*-ისა და „სასწაულის“ შედარებითი კვლევა აჩვენებს, რომ ადამიანს ოდითგანვე ჰქონდა ზებუნებრივი მოვლენებით აღფრთოვანების უნარი, ხოლო დროთა განმავლობაში საკვლევი ინგლისური სიტყვისა და მისი ქართული კორელატის მნიშვნელობები გაფართოვდა, რასაც ადასტურებს დერივატებისა და იდიომების სემანტიკური ანალიზი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიპერტი, ი., თანდაშვილი, მ. (2011). ქართული ენის ეროვნული კორპუსი <http://gnc.gov.ge/gnc/page?page-id=gnc-project> (ნანახია 2024 წლის 15 დეკემბერს).
2. მარგალიტაძე, თ, მელაძე, გ. (2019). კედმონის ამბავი და მისი ჰიმნი. გოთური და ანგლოსაქსური წერილობითი ძეგლების ონლაინ-ქრესტომათია ლექსიკონებითა და გრამატიკული ცნობარებით. <https://germanic.ge/ka/ang/record/caedmon-story-and-hymn/> (ნანახია 2024 წლის 15 დეკემბერს).
3. ორბელიანი, ს.-ს. (1991). *სიტყვის კონა (1 ტომი)*, მერანი

4. Cambridge University Press. (n.d.). Adaptability. In Cambridge Dictionary. Retrieved May 16, 2025, from <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/adaptability>
5. Hager, T. (2006). *The Demon under the Microscope: From battlefield hospitals to Nazi labs, one doctor's heroic search for the world's first miracle drug*. Harmony Books.
6. Merriam-Webster. (n.d.). Resilience. In Merriam-Webster.com dictionary. Retrieved May 16, 2025, from <https://www.merriam-webster.com/dictionary/resilience>
7. Oxford English Dictionary. https://www.oed.com/dictionary/wonder_n?tab=factsheet#14249454 (Retrieved on 10th of December, 2024).
8. Oxford University Press. (n.d.). Empathy. In Oxford Learner's Dictionaries. Retrieved May 16, 2025, from <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/empathy>
9. Weekley, E. (1921). *An Etymological Dictionary of Modern English*. J. Murray.

ავტორის შესახებ:

ანანო ენდელაძე არის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტი. მის მთავარ ინტერესს წარმოადგენს ინგლისური ლიტერატურის კითხვა, კულტურათაშორისი ბმების ძიება და თანამედროვეობაში ასახვა. ლიტერატურისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიღრმავა ერთი სემესტრი ვენეციის უნივერსიტეტში, კა ფოსკარის უნივერსიტეტში, სადაც შესაძლებლობა მიეცა დასწრებოდა ინგლისურ, იტალიურ პროფესორებს და მათი ცოდნა გაეზიარებინა. ამავდროულად, დაინტერესებულია ლინგვისტური თემატიკით, რაც მას საშუალებას აძლევს გაიგოს მეტი ინგლისური ენის შესახებ. აქვს მცირედი გამოცდილება ლექსიკოგრაფიის მხრივ, სწორედ სიტყვათა ისტორიის გაგება გახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ შემოეთავაზებინა ეს კვლევა. მიზანდასახულობითა და ენების მიმართ უანგარო სიყვარულით სურს გახდეს კარგი მცოდნე თავის სფეროში.

About the Author:

Anano Endeladze is a fourth year BA English Philology student. Her primary academic interests lie in the study of English literature, the exploration of intercultural connections, and their contemporary reflection. Her interest in literature deepened further during a semester of study at Ca' Foscari University of Venice, where she had the opportunity to attend lectures by both English and Italian professors and to benefit from their academic expertise. Additionally, she is deeply engaged in linguistic studies, which facilitate her broader understanding of the English language. With some experience in lexicography, her fascination with the history of

words has been a central motivator for this research. Driven by purpose and a profound passion for languages, she aims to become a knowledgeable and skilled expert in her field.

Email: anano.endeladze291@hum.tsu.edu.ge

სამადლობელი:

მადლობას ვუხდის ჩემს ხელმძღვანელს, ირინე დემეტრაძეს, განუვლი ამაგისა და მხარდაჭერისთვის. მისი მითითებისა და რჩევების საშუალებით შესაძლებლობა მომეცა საინტერესო კუთხით წარმომეჩინა ჩემი კვლევის საგანი, რომელიც უკავშირდება ლინგვოკულტურულ პარალელებს ინგლისურსა და ქართულ ენაში.

Acknowledgments:

I extend my gratitude to my supervisor, Irine Demetradze, for her invaluable guidance and support. Her advice and recommendations have provided me with the opportunity to approach my research topic – linguocultural parallels between English and Georgian from an engaging and insightful perspective.